

მუშაობის პროცედურა

სემინარის მუშაობა დამყარებული იქნება პრინციპზე: რაიმე ყველამ იცის, მაგრამ ყველაფერი – არავინ. ამდენად სემინარზე დამსწრეებისაგან აქტიური მონაწილეობა და თანამშრომლობა იქნება საჭირო, რასაც ხელს პროფესიონალი ფაცილიტატორები შეუწყობენ. სემინარის ძირითადი ელემენტებია მონაწილეების საშუალო გამოცდილებაზე დამყარებული ჯგუფური მუშაობა და ინტენსიური პლენარული დისკუსიები. სემინარის საშუალო ენებია ქართული და ინგლისური.

პროგრამა


<p>30 აგვისტო, ოთხშაბათი</p>	<p>გახსნა + შესავალი + მიზნები + პროგრამა; სასურსათო უსაფრთხოების ცნება და მასთან დაკავშირებული განვითარების სტრატეგიები; ჯგუფური მუშაობა: სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში – რა სახის ინფორმაციაა საჭირო?; ჯგუფური მუშაობის შედეგების პრეზენტაცია</p>
<p>31 აგვისტო, ხუთშაბათი</p>	<p>დისკუსია: რა სახის ინფორმაცია არსებობს ან შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს?; ბიულეტენის მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია; ჯგუფური მუშაობა: რამდენად შეესაბამება ბიულეტენში მოყვანილი ინდიკატორები სასურსათო უსაფრთხოების ცნებებს, საქართველოში არსებულ პრობლემებს და ინფორმაციაზე მითხოვნილებას?;</p>
<p>1 სექტემბერი, პარასკევი</p>	<p>ჯგუფური მუშაობის პრეზენტაცია; დასკვნითი დისკუსია: გადასინჯული ბიულეტენის შინაარსი და პერიოდულობა; სემინარის შეფასება და დახურვა; სემინარის დასკვნების პრეზენტაცია გადაწყვეტილებების მიმღებთათვის;</p>

საკონტაქტო მისამართები

თუ თქვენ გსურთ სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მიღება, გთხოვთ დაუკავშირდეთ:

თბილისი, პეკინის ქუჩა 4
 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი ოთახი 620
 ბ-ნი გიორგი კვინიკაძე,
 ტელეფონი: 33 70 26
 მობილური ტელეფონი: 899 91 64 72
 ელ. ფოსტა: gkvinikadze@statistics.gov.ge

Ms Marijke Drysdale
 Food and Agriculture Organization of the UN
 Rome. Italy
 Tel +39 06 57052949
 E-mail: Marijke.Drysdale@fao.org



სტატისტიკის დეპარტამენტის პუბლიკაციის

“საქართველო. სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა – ტენდენციები ციფრებში”

შეფასებითი სემინარი

2006 წლის 30 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე

სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასი”
 დარბაზი “სალხინო”
 თბილისი, თელავის ქუჩა 30.



“სასურსათო უსაფრთხოება არსებობს, როდესაც ყოველ ადამიანს ნებისმიერ დროს ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელი მიუწვდება საკმარისი რაოდენობის უვნებელ და სრულფასოვან სურსათზე აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრებისათვის საჭირო კვებითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად” (მსოფლიო სასურსათო სამიტი, 1996, მოქმედების გეგმა.). ქალები და ბავშვები განსაკუთრებით დაუცველნი არიან საკვების უკმარისობის წინაშე. მაგალითად, საქართველოში 5 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვთა 12 პროცენტი ასაკთან შედარებით ნაკლები სიმძლავრისაა.

ამ საკითხების შესახებ საზოგადოებრიობის გათვითცნობიერებულობის ამაღლების მიზნით ევროკომისიის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა (EC-FSP) 2000 წლიდან აფინანსებს სტატისტიკის დეპარტამენტის სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორიას. მისი მიზანია საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებისა და მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება გადაწყვეტილებების მიმღებებისა და პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებსათვის. მიწოდებული ინფორმაცია უნდა გახდეს საფუძველი მიზანმიმართული ქმედებისათვის. ინფორმაციის გადაცემის მთავარი საშუალებაა კვარტალური ბიულეტენი “საქართველო. სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა – ტენდენციები ციფრებში”. ბიულეტენი ძირითადად იძლევა სტატისტიკურ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის, სურსათის ფასების და შინამეურნეობათა გამოკვლევის შესახებ.

ბიულეტენის პუბლიკაციის 5 წელზე მეტი ხანგრძლივობის პერიოდის შემდეგ, სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიწვეთ სემინარზე, რომელიც იმართება ევროკავშირის და FAO-ს ერთობლივი პროგრამის “Food Security: Information for Action” ფარგლებში და მიზნად ისახავს ბიულეტენში მოყვანილი მონაცემებისა და ანალიზის სასარგებლოდ შეფასებას. სემინარი აგრეთვე შეაფასებს, თუ რამდენად აქტუალურია ბიულეტენში მოყვანილი ინფორმაცია სასურსათო უსაფრთხოების მხრივ არსებული სიტუაციის, სიღარიბის დაძლევისა და მთავრობის მიზნების კონტექსტში.

მიზნები

სემინარის მიზანია ერთად შეკრიბოს კვარტალური ბიულეტენის “საქართველო: სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა – ტენდენციები ციფრებში” მომხმარებლები (როგორც არსებული, ისე პოტენციური) და მწარმოებლები, შეაფასოს ამ გამოცემის სასარგებლოება მომხმარებელთა საქმიანობისათვის. აგრეთვე განხილული იქნება საკითხი, თუ რამდენად და როგორ უნდა შეიცვალოს ბიულეტენი, რათა მან უკეთ დააკმაყოფილოს მომხმარებლებისა და გადაწყვეტილებათა მიმღებების მოთხოვნები.

მონაწილეები აგრეთვე გაეცნობიან ბიულეტენის ხარისხისა და სასარგებლოდობის შესახებ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს. ისინი აგრეთვე განიხილავენ მის მიზნებს არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს კონტექსტში. დისკუსია ძირითადად მიეძღვნება იმას, თუ რა სახის ინფორმაციისა და ანალიზის ხილვა სურთ ინფორმაციის მომხმარებლებს ბიულეტენში და რამდენად შეეძლებათ ინფორმაციის

მიმწოდებლებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მონაწილეები შეეცდებიან მიადწიონ კონსენსუსს გადასინჯული ბიულეტენის პერიოდულობის, შინაარსისა და დიზაინის შესახებ.

ვინაიდან სასურსათო უსაფრთხოება დარგთაშორისი დისციპლინაა, ბიულეტენში ჩართული იქნება საკითხები სხვადასხვა სფეროებიდან, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, კვება, ჯანდაცვა, სოციოლოგია და განათლება.

სავარაუდო მონაწილეები

სემინარის სავარაუდო მონაწილეებია ბიულეტენის “საქართველო: სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა – ტენდენციები ციფრებში” (პოტენციური და რეალური) მომხმარებლები და მისი მწარმოებელი ორგანიზაციები; სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო პროგრამებსა და პროექტებში მომუშავე სპეციალისტები რომელთა მიზანია საქართველოში ცხოვრების დონისა და სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება; სექტორული და საერთო-ეროვნული განვითარების, აგრეთვე სიღარიბის შემცირებისკენ მიმართული სტრატეგიების შემუშავებლები; სასურსათო უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებული სამეცნიერო და სასწავლო წრეების წარმომადგენლები.

სასურსათო უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის საჭიროება მრავალ სამინისტროში არსებობს. ამდენად სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური განვითარების, შრომის, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის, განათლებისა და მეცნიერების, ფინანსთა სამინისტროების, აგრეთვე სანიტარიის და ჰიგიენის ინსტიტუტის წარმომადგენლები. სემინარზე აგრეთვე მოწვეულ იქნებიან სტატისტიკოსები ადა ანალიტიკოსები სტატისტიკის დეპარტამენტიდან, რომლებიც სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ.

შინაარსი

იმის დასადგენად, თუ სასურსათო უსაფრთხოების შესახებ ძირითადად რა ტიპის ინფორმაციაა საჭირო საქართველოში სექტორთშორისი დონის მიმდებარების და სტრატეგიების დასაგეგმად და მათი განხორციელების შედეგების მონიტორინგისათვის, გამოყენებული იქნება სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია და სიტუაციური ანალიზის მეთოდი. განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია, მისი ასპექტებისა და ანალიტიკური ჩარჩოს ჩათვლით;
- სასურსათო უსაფრთხოების როლი სიღარიბის შემცირებისა და განვითარების სტრატეგიებში;
- საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობაში არსებული ტენდენციების მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაცია;
- სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რა სახის ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი უახლოეს მომავალში